საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-428

ქ. თბილისი

05/06/2023

შპს „ამბიკონ სტილსი“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 25 მაისის N21/3935 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ამბიკონ სტილსი“-ზე (ს/ნ N402114396), ,,შპს „ევრაზიან სტილსზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ამბიკონ სტილსზე“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N2-268 ბრძანებით გადაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ამბიკონ სტილსი“-ს.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ამბიკონ სტილსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ამ ბრძანების გამოცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი